სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

საქართველოში ხილის გადამამუშავებელი ახალი ქარხანა იხსნება

ხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გაიხსნა საქართველოში დღეს. საწარმოს გახსნა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სარგებლის მომტანი იქნება, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს. სახელმწიფო თანადაფინანსებით „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ გახსნა ხილის გადამამუშავებელი მეორე ქარხანა სოფელ ქედაში საქართველოს დასავლეთში, აჭარის რეგიონში. ახალი საწარმო „აგრო ქედი“ გადაამუშავებს ხილს და ასევე აწარმოებს ხილფაფას, ჯემს და ხილის პიურეს. პროდუქცია გაიყიდება ადგილობრივ ბაზარზე და საზღვარგარეთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოფიციალურად გახსნა ხილის გადამამუშავებელი საწარმო დღეს. „ჩვენ ფერმერებს და ადგილობრივ მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა გაყიდოს ხილი ამ საწარმოებში. წარსულში ისინი ყრიდნენ მოსავალს, რადგან ფერმერები ვერ ყიდდნენ მოსავალს", განაცხადა ღარიბაშვილმა. „საქართველოს მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩართული იყოს ასეთ პროექტებში. გასულ წელს ჩვენ გამოვყავით 400 000 აშშ დოლარი და ნახევარი მილიონი შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი სოფლის მეურნეობის სექტორის დასახმარებლად. მოხარული ვართ, რომ ასეთი შედეგი გვაქვს", განაცხადა მან. შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო პროგრამის და სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ქვეყანაში უკვე დაფინანსდა 135 ქარხანა. ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 30 000 სამუშაო ადგილი შეიქმნა, საიდანაც 90 პროცენტი სოფლის მეურნეობის სექტორშია.

Agenda.ge, 19 აგვისტო, 2015

ქართული თხილი ევროპის ბაზრებზე

ქართული თხილი სწრაფად იპყრობს ევროპის ბაზარს და ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთავარი საექსპორტო პროდუქტი ხდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, ქვეყნის თხილის ექსპორტი იტალიაში გაიზარდა 321 პროცენტით 2015 წლის იანვარ-ივნისში 2014 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ხოლო ექსპორტი გერმანიაში 143 პროცენტით, დიდ ბრიტანეთში - 98 პროცენტით. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თხილის წარმოებას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო თხილის სექტორის განვითარების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თხილის წარმოების ზრდას საქართველოში და ამავდროულად თხილის ფასის შემცირებას და ექსპორტის გაზრდას. ვისაც სურს ჩაერთოს პროექტში, უნდა ჰქონდეს 500 წევრიანი ძლიერი თხილის კოოპერატივი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და ფლობდეს მინიმუმ 500 ჰა თხილის პლანტაციას. პირველი კოოპერატივი 500 წევრით მალე შეიქმნება სამეგრელოში და მთავრობამ პირობა დადო, რომ დააფინანსებს თხილის საშრობი ფაბრიკის მშენებლობას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ასევე შეიქმნა კახეთის რეგიონში, სადაც ფერმერები ერთიანდებიან, რათა გახდნენ უფრო გავლენიანი თხილის მომწოდებლები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. ეს აძლევს ფერმერებს შესაძლებლობას გაყიდონ პროდუქცია უფრო მაღალ ფასად. პირველი თხილის პლანტაციები გაჩნდა კახეთში მხოლოდ შვიდი წლის წინ, როდესაც რუსეთმა დააწესა ემბარგო ქართულ ღვინოზე და კახეთის მოსახლეობას უნდა ეპოვნა ალტერნატიული პროდუქტის ექსპორტის გზები. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს თხილის წარმოების სექტორის განვითარებას სხვადასხვა მეთოდებით, განსაკუთრებით დღგ-ს გადახდისგან გათავისუფლებით. ამის საშუალებით ქართული თხილი უფრო კონკურენტუნარიანი ხდება გლობალურ ბაზარზე. თხილის ღირებულება იზრდება მსოფლიოში მაღალი მოთხოვნის გამო. ბოლო წლების განმავლობაში გარჩეული თხილის საშუალო ფასი კილოგრამზე ოთხი ლარი იყო, ხოლო 2014 წელს ეს ფასი გაიზარდა რვა-ცხრა ლარამდე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების შედეგად. გასულ წელს თურქეთში, რომელიც მსოფლიოს წამყვანი თხილის ექსპორტიორია, მოსავლის ნახევარი დაიკარგა ყინვის გამო და თხილის

გლობალური ფასი გაიზარდა და სიტუაცია მომგებიანი გახდა ქართველი თხილის მწარმოებლებისთვის. გასულ წელს საქართველოს ექსპორტის მოცულობამ პირველად გადააჭარბა ღვინის ექსპორტის მოცულობას, რაც იმას ნიშნავს, თხილი გახდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი საექსპორტო პროდუქტი, განაცხადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.
Agenda.ge, 18 აგვისტო, 2015

საქართველოში გამაგრილებელი სასმელის სავალდებულო მარკირება გადაიდო
საქართველოში გადაიდო უალკოჰოლო სასმელების სავალდებულო მარკირება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაავალა ფინანსთა მინისტრს გამაგრილებელი სასმელების სავალდებულო მარკირების გადავადება. ამ ნაბიჯს წინ უძღოდა უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების თხოვნა პრემიერ-მინისტრისადმი გადაედოთ მარკირების პროცესი მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ისინი სიძნელეებს წააწყდნენ მარკირების მოწყობილობების დამონტაჟებაში. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, გაზიანი, მინერალური და მტკნარი წყლის მარკირების პროცესი უნდა დაწყებულიყო 2015 წლის 1 სექტემბერს, პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების მოთხოვნა და დაავალა საქართველოს ფინანსთა მინისტრს უალკოჰოლო სასმელების სავალდებულო მარკირების გადავადება 2015 წლის 1 ნოემბრამდე.
Agenda.ge, 17 ივლისი 2015

საქართველო გააკონტროლებს გენმოდიფიცირებული საკვების იმპორტს
საქართველო ადგენს იმპორტის წესებს და საბაჟო გადასახდელებს გენმოდიფიცირებულ საკვებზე, განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა. ახალი კანონი, რომელიც კრძალავს გენმოდიფიცირებული საკვების იმპორტს საქართველოში საბაჟო კონტროლის გარეშე, ძალაში შევიდა. ამიერიდან გენმოდიფიცირებული საკვები იმპორტირებული იქნება საბაჟო კონტროლის ქვეშ. შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირი გააკონტროლებს იმპორტირებული გენმოდიფიცირებული საკვების დოკუმენტებს და დაადგენს აკმაყოფილებს თუ არა ეტიკეტირების წესებს. საქართველომ უკვე შექმნა ახალი კანონი გენმოდიფიცირებული საკვების ეტიკეტირების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 1 ივლისიდან. ახალი კანონის მიხედვით, პროდუქციას, რომელიც შეიცავს გენმოდიფიცირებულ კომპონენტებს, უნდა გააჩნდეს სათანადო ეტიკეტები მომხმარებელთა ინფორმირებისთვის, რომ მათ არჩევანის თავისუფლება ჰქონდეთ. თუ გენმოდიფიცირებულ საკვებს არ აქვს მარკირება, მას უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქცია შეესაბამება მოთხოვნებს. მაგრამ თუ დოკუმენტი არ შეიცავს ამ ინფორმაციას, სპეციალური სამსახურები ჩაატარებენ ლაბორატორიულ კვლევებს. სანამ ლაბორატორიული კვლევის შედეგი ცნობილი გახდება, პროდუქტის იმპორტის პროცესი შეჩერდება. კანონის დამრღვევი დაჯარიმდება 5 000 ლარით. იმ შემთხვევაში, თუ ქმედება გამეორდება, ჯარიმა გაიზრდება 10 000 ლარამდე, ხოლო იმპორტიორს შეეძლება მოაგვაროს პრობლემა [წარწერა პროდუქტზე] 30 დღის ვადაში.
Agenda.ge, 21 ივლისი, 2015

სოფლის მეურნეობის მინისტრი ვარაუდობს ვაშლის დიდ მოსავალს კოტაიქის პროვინციაში
სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა სამუშაო ვიზიტი ჩაატარა კოტაიქის პროვინციაში 26 აგვისტოს. მან მოინახულა ალაპარსის თემი და დაათვალიერა ჟოლოს ნარგავები, ვაშლის ბაღები ნორ გეღიში და ახალი სათბურების სამშენებლო სამუშაოები. მინისტრმა აღნიშნა ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომ უხვ ვაშლის მოსავალს ელოდებიან კოტაიქის პროვინციაში. „შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი არის ვაშლის წელი, იმიტომ, რომ არის შესანიშნავი მოსავალი და ხელსაყრელი პირობები ვაშლის ბაღების გაშენებისთვის. მე მიმაჩნია, რომ დამუშავებული ნიადაგის ფართობების ზრდა დიდი მიღწევაა კოტაიქის პროვინციისთვის. ზრდა არის 1000 აკრი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში", დასძინა სერგო კარაპეტიანმა. „არმენპრესი" იუწყება, რომ სერგო კარაპეტიანმა ხაზი გაუსვა, რომ სათბურების რაოდენობა იზრდება პროვინციაში. მხოლოდ ამ წელს აშენდა სათბურები, რომლებიც მოიცავს 50 ჰექტარს და მშენებლობა მიმდინარეობს 20 ჰექტარზე.
Armenpress.am, 26 აგვისტო 2015

გვალვამ და წყლის ნაკლებობამ შეიძლება შეამციროს კარტოფილის და ხორბლის მოსავალი სომხეთში
გვალვამ სომხეთში ბოლო ორი თვის განმავლობაში სერიოზული ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას: მშრალმა ამინდმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება შექმნას სერიოზული პრობლემები - აგრარულ-სასოფლო კავშირის უფროსმა ჰრაჩ ბერბერიანმა განაცხადა დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მისი თქმით, კარტოფილის ფასები, სავარაუდოდ, გაიზრდება 10%-ით სომხეთში შემოდგომაზე ცუდი მოსავალის გამო შირაქის პროვინციაში. ბერბერიანმა დასძინა, რომ გვალვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ამძიმებს სარწყავი სისტემის მდგომარეობა. სოფლის მაცხოვრებლებს სარწყავი წყლის პრობლემა აქვთ ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის გამო. ჰრაჩ ბერბერიანმა მოუწოდა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს დააჩქაროს რეფორმები სარწყავი სისტემის ოპტიმიზაციის კუთხით. ექსპერტის თქმით, სარწყავი წყლის დეფიციტი არის იმის მიზეზი, რომ არმავირის რეგიონის მაცხოვრებლებს ატმის მოსავალის პრობლემა აქვთ. გვალვამ შეიძლება ასევე უარყოფითად იმოქმედებს ხორბლის მოსავალზე, განაცხადა მან.
21 ივლისი / Panorama.am

რუსეთის სოფლის მეურნეობის მაკონტროლებელი ანადგურებს 200 კგ სომხეთში წარმოებულ თევზს
რუსეთის სოფლის მეურნეობის მაკონტროლებელი „როსსელხოზნადზორი“ აცხადებს, რომ 200 კგ სომხეთში წარმოებული ზუთხი განადგურდება სოჭში, სამხრეთ რუსეთის საკურორტო ქალაქში. მათი ცნობით, „როსსელხოზნადზორის“ ადგილობრივ ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურს დაევალა თევზის განადგურება, რადგან სომეხი ექსპორტიორი არ იყო სერტიფიცირებული კომპანიების რეესტრში. „როსსელხოზნადზორის“ ცნობით, ეს გადაწყვეტილება შეესაბამება ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EEU), რომლის წევრიც არის სომხეთი, წესებს. „როსსელხოზნადზორში“ განაცხადეს, რომ სომხური კომპანია არ არის პროდუქტის განადგურების წინააღმდეგი. მაკონტროლებელის ცნობით, საქონლის იმპორტი ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ვეტერინარულ ზედამხედველობას და უნდა შეესაბამებოდეს EEU-ს წესებს. იმ საწარმოების სია, რომლებსაც EEU წევრი ქვეყნებიდან ნებადართული აქვთ საქონლის ექსპორტი რუსეთში, განთავსებულია მისამართზე ssfs.am.
Arka.am, 21.08.2015

სომხეთის მეფრინველეები ითხოვენ იაფი ქათმის ხორცის იმპორტის შეზღუდვას
სომხეთის მეფრინველეების კავშირის თავმჯდომარემ სერგეი სტეფანიანმა მოუწოდა ქვეყნის ხელისუფლებას, დააწესოს შეზღუდვები იაფი ქათმის ხორცის იმპორტზე, რადგანაც ამგვარი იმპორტი იწვევს შიდა ფასების კლებას და აზარალებს ადგილობრივ ბიზნესს. სტეფანიანის თქმით, სომხური მეფრინველეობა განიცდის ზარალს და სექტორის განვითარების სამთავრობო პროგრამა ვერ

იქნება ეფექტური, თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება. „მეფრინველეობის ფერმებმა ქვეყანაში ახლახან დაიწყეს წარმოების გაზრდა და დარგი თანდათან გამოდის კრიზისიდან, მაგრამ იაფ იმპორტს შეუძლია გაანადგუროს ყველაფერი, რაც მიღწეულია", განაცხადა მან. „იმპორტირებული პროდუქციის ხარისხი ყოველთვის არ არის საუკეთესო: სხვადასხვა შემოწმებების თანახმად, დაახლოებით 65% [მთლიანი იმპორტის] არ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის სტანდარტებს, თუმცა, მომხმარებელს ურჩევნია იაფი საქონელი". სტეფანიანმა ასევე აღნიშნა, რომ მეფრინველეებს არ სურთ ფრინველის ხორცის იმპორტის აკრძალვა მთლიანად და თხოვენ ხელისუფლებას შეზღუდოს იაფი, დაბალი ხარისხის ქათმის ხორცის იმპორტი, რადგანაც იქმნება არაკონკურენტული გარემო ადგილობრივი მეფრინველეებისთვის და ზიანი ადგება მოქალაქეების ჯანმრთელობას. ივნისში მეფრინველეობის ფერმა „არტ ფარმერმა“ შეწყვიტა ფუნქციონირება. კომპანიის დირექტორმა სამველ აბრაჰამიანმა აღნიშნა, რომ მეფრინველეობა არ არის მომგებიანი: „მე აღარ მინდა ამ საქმის კეთება იმიტომ, რომ შეუძლებელია ნებისმიერი [მეფრინველეობა] ბიზნესის დაწყება ჩვენს ქვეყანაში. ფრინველის ხორცის წარმოება სომხეთში გახდა აბსურდული". ოფიციალური ინფორმაციით, წლიური მოთხოვნა ფრინველის ხორცზე სომხეთში ამჟამად დაახლოებით 30000 ტონაა. ადგილობრივი მწარმოებლები აკმაყოფილებენ შიდა მოთხოვნის 30%-ს, ხოლო წარმოების საერთო მოცულობა 10000 ტონაა. ფრინველის უმსხვილესი იმპორტიორები არიან აშშ, ბრაზილია, კანადა და უკრაინა. გასულ წელს სომხეთის მთავრობამ მეფრინველეების კავშირთან ერთად შეიმუშავა პროგრამა, რათა გაიზარდოს ფრინველის წარმოების მოცულობა და ეტაპობრივად მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება. სომხეთის მეფრინველეების კავშირის თავმჯდომარემ სერგეი სტეფანიანმა მოუწოდა ქვეყნის ხელისუფლებას, დააწესოს შეზღუდვები იაფი ქათმის ხორცის იმპორტზე, რადგანაც ეს იწვევს შიდა ფასების კლებას და ადგილობრივი ბიზნესის დაზარალებას.
Arka, am, 19/08/15

სასოფლო-სამეურნეო მიწების ირიგაცია სომხეთში ხორციელდება ჩვეულ რეჟიმში მიუხედავად ცხელი ამინდებისა
სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა სომხეთში ხორციელდება ჩვეულ რეჟიმში მიუხედავად იმისა, რომ ცხელი ამინდებია, წყლის სახელმწიფო კომიტეტში განუცხადეს საინფორმაციო სააგენტო „არკას“. ანგარიშის თანახმად, სარწყავი მიწების ტერიტორიები გაიზარდა 6 ჰექტარით 2015 წელს „სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ზრდამ და სიცხემ გაზარდა წყლის საჭიროება, თუმცა ჯერ-ჯერობით არსებული წყლის რესურსები საკმარისია რწყვის სეზონის დასრულებისთვის“.
Arka, am, 18/08/15

სომხეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარგში გაიზრდება
ქართულ-სომხური ურთიერთობების გაფართოების პერსპექტივები განხილულ იქნა საქართველოსა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრებს შორის შეხვედრის დროს თბილისში 18 აგვისტოს, „არმენპრესი“ იუწყება ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე. სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა სამუშაო ვიზიტი ქართველი კოლეგის ოთარ დანელიას მიწვევით ჩაატარა 16-19 აგვისტოს. მინისტრებმა დაათვალიერეს ქობულეთში (აჭარა) ხეხილის ხეების სანერგე და ვენახები, პომიდვრის და მარწყვის სათბურები, რომლებიც აღჭურვილია ახალი ტექნოლოგიებით, გაეცნენ აგრო სერვის ცენტრის მიმდინარე და უკვე განხორციელებულ პროექტებს.
Armenpress.am, 18/08/15

სომხეთი ამკაცრებს კონტროლს ძროხის ხორცის იმპორტზე საქართველოდან
სომხეთმა დროებით დაბლოკა ხორცის იმპორტი საქართველოდან პირადი მოხმარებისთვის ცოტა ხნის წინ ჯილეხის შემთხვევების გამო ქვეყანაში. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურმა გაამკაცრა კონტროლი ხორცის პროდუქტების იმპორტზე ქვეყანაში გასულ კვირას. სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ 5-დან 19 აგვისტომდე პირუტყვის ხორცის იმპორტი პირადი სარგებლობისათვის სომხეთში

აკრძალეს ბაგრატაშენის, ბავრას და გოგოვანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე საქართველოსა და სომხეთს შორის. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჯილეხის გავრცელება სომხეთის ტერიტორიაზე, განაცხადეს სურსათის უვნებლობის სამსახურში. გასულ კვირას სომხეთში იყო ჯილეხის ინფექციით ქვეყნის ორი მოქალაქის დაავადების შემთხვევა. დადასტურდა, რომ ინფექციის წყარო იყო ნინოწმინდაში, სომხეთის მოსაზღვრე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, შეძენილი ხორცი. „ამ წლის 4 აგვისტოს სამსახურმა მიიღო მოხსენება, რომ პაციენტი ჯილეხის დიაგნოზით მკურნალობდა ნორკის საავადმყოფოში. განხორციელებული საქმიანობის დროს სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ინფექციის წყარო იყო ქვეყნის გარეთ და, რომ დაავადების მიზეზი გახდა პირადი სარგებლობისათვის შემოტანილი ხორცი", წერს სურსათის უვნებლობის სამსახური ვებ-გვერდზე. სამსახურმა დაადასტურა, რომ ჯილეხის შემთხვევების მიზეზი არ იყო ადგილობრივი წარმოშობის და გააფრთხილა მოქალაქეები არ იყიდონ ხორცი საეჭვო ადგილებში.

14 აგვისტო / GeorgiaToday

სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კარტოფილის ფასის გაზრდის საკითხი განმარტა

სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინა კვირის მონაცემებით, კარტოფილის ფასები გაიზარდა 3%-ით სომხეთში 2015 წლის ივლისში ივნისთან შედარებით. სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სამველ გალსტიანმა განუცხადა Panorama.am-ს, რომ კარტოფილის მიწოდება შემცირდა ბაზარზე ცხელი ამინდის გამო. მისი თქმით, „ძალიან ცხელი ამინდის გამო ამ ზაფხულს კარტოფილი ვადამდე ადრე გაიტანეს ბაზარზე. ასე რომ, კარტოფილის გარკვეული დეფიციტი იყო ასეთ პირობებში. მიწოდების და მოთხოვნის ცვლილებამ გამოიწვია ფასების ზრდა", განაცხადა ს. გალსტიანმა და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარტოფილის ფასები შეიცვლება 10-15 დღის განმავლობაში, როდესაც კარტოფილის სხვა ჯიშების მოსავალი იქნება. მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ამ წელს კარტოფილის ნათესები გაიზარდა სომხეთში. „32,5 ათას ჰექტარზე დაითესა კარტოფილი წელს, ხოლო გასული წლის ნათესების ფართობი იყო 31,55 ათასი ჰექტარი". როგორც ცნობილი გახდა, სომხეთის ტერიტორიული ადმინისტრირების და საგანგებო სიტუაციების ამინდის სამსახურის უფროსის მოადგილემ გაგიკ სურენიანმა განაცხადა პრესკონფერენციაზე გასულ კვირას, რომ სიცხის ტალღა სომხეთში 2015 წლის ზაფხულში უპრეცედენტო იყო.

11 აგვისტო / Panorama.am

სომხეთის მეთევზეობა იზრდება 29,6% -ით 2015 წლის პირველ ნახევარში

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, სომხეთში მეთევზეობის მოცულობამ 14,3 მილიარდი დრამი შეადგინა 2015 წლის პირველ ნახევარში, რაც 29,6%-ით აღემატება 2014 წლის ამავე პერიოდის მონაცემს. მეთევზეების და ექსპორტიორების კავშირის პრეზიდენტმა არტურ ატოიანმა აღნიშნა, რომ პრობლემებმა ზიანი მიაყენა მეთევზეობის ადგილობრივ ბაზარს, ადგილობრივი მწარმოებლები გახდნენ არაკონკურენტუნარიანი უცხოურ ბაზარზე. „ადამიანები, რომლებსაც სასესხო ვალდებულებები აქვთ, ყიდიან პროდუქტს თვითღირებულებაზე 120-150 დრამით ნაკლებად და ჩვენ არაკონკურენტუნარიანი ვართ უცხოურ ბაზრებზე", განაცხადა ატოიანმა. მისი თქმით, მეთევზეები ვერ უმკლავდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა არ ხდება. „ხელისუფლება ყოველთვის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ გარკვეული სააგენტოები ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს", აღნიშნა მან.

Panarmenian.net, 7/8/2015

სომხეთში ივლისში მხოლოდ ეკვადორის ბანანი იყო იმპორტირებული

მხოლოდ ეკვადორის ბანანი იყო იმპორტირებული სომხეთში ივლისში, ნათქვამია სომხეთის სახელმწიფო სურსათის უვნებლობის სამსახურის (SFSS) ანგარიშში ახალ ხილში და ბოსტნეულში ნიტრატების შემცველობის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ნიტრატების შემცველობა დასაშვებ

დონეზე იყო ეკვადორის რამდენიმე ათას კილოგრამ ბანანში (მაქსიმალური დასაშვები დონე - 60 მგ/კგ), განაცხადეს SFSS-ში. გარდა ამისა, ივლისში ხახვი იმპორტირებული იყო სომხეთში ირანიდან და საქართველოდან, წიწაკა ირანიდან, ლიმონი ეგვიპტიდან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ფორთოხალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან. ტესტებმა აჩვენა, რომ ნიტრატები ამ ხილში და ბოსტნეულში არ აღემატებოდა დასაშვებ ფარგლებს.
Panorama.am, 08.08.2015

სომხური ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდა გრძელდება
47 ათას ტონაზე მეტი ახალი ხილი და ბოსტნეული გავიდა ექსპორტზე სომხეთიდან წელს, რაც 27 623 ტონით აღემატება 2014 წლის ამავე პერიოდის მონაცემს. 20 000 ტონა გარგარი გაიგზავნა ექსპორტზე 27 ივლისისთვის, ხოლო გასული წლის გარგარის ექსპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 1792 ტ იყო, განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-სამსახურმა. ალუბლის ექსპორტმა 2 038 ტონა შეადგინა 27 ივლისის მონაცემებით, ხოლო 2014 წელს მხოლოდ 370 ტონა იყო. 2 848 ტონა კიტრი (53 ტონა 2014 წლის ამავე პერიოდში) და 9 045 ტონა კომბოსტო და ყვავილოვანი კომბოსტო (1492 ტონა 2014 წლის იმავე პერიოდში) გაიგზავნა ექსპორტზე ჯერჯერობით.
31 ივლისი / Panorama.am

სომხეთში ორგანიზება გაუკეთეს ატმის ფართომასშტაბიან ექსპორტს
2015 წელს ატმის მოსავალი სომხეთის რესპუბლიკაში იქნება მეტი, ვიდრე წინა წლებში, სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე 22 ივლისს. „ზოგიერთები შეშფოთებას გამოთქვამენ ატმის დიდი მოსავალის გამო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ადგილებში მოსავალი არ არის საკმარისი, თუმცა მთლიანი მოსავალი იქნება უფრო მეტი, ვიდრე წინა წლებში. სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი რამდენიმე დღის წინ ეწვია ტავუშ მარცს, სადაც მოსავალი საკმაოდ კარგია და ატმის ძირითადი ნაწილი არის მაღალი ხარისხის", აღნიშნა რობერტ მაკარიანმა.
22 ივლისი / ARMENRRESS

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს მონაცემებს ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის შესახებ
263 ათასი ტონა ბოსტნეულის მოსავალი აიღეს სომხეთში 28 ივლისის ჩათვლით, აქედან 68 ათასი ტონა პომიდორია, განაცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-სამსახურმა. ასევე აიღეს 70 ათასი ტონა ნესვის და საზამთროს და 76 ათასი ტონა კარტოფილის მოსავალი. სულ ხილის და კენკრის მოსავალმა შეადგინა 161 ათასი ტონა, გარგარის - 103 ათასი ტონა, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 14 ათასი ტონით აღემატება.
panorama.am, 28/07/2015

პომიდვრის შესყიდვა იწყება სომხეთში 1 აგვისტოს - სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სომხეთის გადამამუშავებელი კომპანიები იწყებენ პომიდვრის შესყიდვას ფერმერებისგან. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 აგვისტოს კომპანია MAP და Euroterm-ის ვანანდის შესყიდვების ოფისი არმავირის პროვინციაში დაიწყებენ პომიდვრის შეძენას, აცხადებს სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-სამსახური. არტაშანის საკონსერვო ქარხანა და არარატის სურსათის საწარმო დაიწყებს პომიდვრის შესყიდვას 3 აგვისტოს.
aysor.am, 29.07.2015

გამოცემები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის ივლისის #35 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: **www.nfa.gov.ge/files/images/**

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე: **www.dwvg.ge**

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/